საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლოლუა ძუკუ (პორფილე) ბახვას ძე

ძ. ლოლუა

ლოლუა ძუკუ (პორფილე) ბახვას ძე (8. IV. 1877, სოფ. ქვალონი, ახლანდ. ხობის მუნიციპალიტეტი, – 9. VIII. 1924, თბილისი, 1958 გადაასვენეს ფოთში), მომღერალი, მგალობელი, ლოტბარი, პედაგოგი. დაიბადა და გაიზარდა ტრადიციულ მუს. ოჯახში (მამა – მომღერალი, დედა – მეჩონგურე). გალობა შეისწავლა სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანთან. 1894-იდან იყო მედავითნე სოფ. კოკსა და ჭალადიდში. 1895-იდან გალობას ასწავლიდა ფოთის საეპარქიო სკოლაში. 1897–98 ლ-მ ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი და 1903-მდე კონცერტებს მართავდა დას. საქართველოს დაბებსა და ქალაქებში. 1903–19 მოღვაწეობდა სოხუმში. ლ-მ საფუძველი ჩაუყარა საგუნდო ხელოვნების განვითარებას აფხაზეთში – დააარსა რამდენიმე გუნდი, აღადგინა მრავალი მეგრული ხალხ. სიმღერა.

ლ., 1918, თურქების ერთ-ერთი შემოსევის დროს, მეგრელ-აფხაზ მოხალისეთა 130-კაციანი რაზმით საქართვ. ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ჩავიდა ბათუმში. 1917 ლ. პირველად გამოვიდა კონცერტით თბილისში, შემდეგ იმოგზაურა აღმ. საქართველოში. 1921 განათლების კომისარიატმა ლ. სამეგრელოს სახ. მომღერალთა გუნდების მთავარ ინსტრუქტორად დანიშნა. ლ-მ ჩაიწერა, დაამუშავა და საგუნდო რეპერტუარში დაამკვიდრა 100-ზე მეტი აფხაზური, მეგრული და სხვა კუთხის სიმღერები. იყო ლოტბარი „დასავლეთ საქართველოს ხალხურ მომღერალთა ეთნოგრაფიული გუნდისა“, რ-საც შემდგომ ლ-ს სახელი მიენიჭა. მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ მეგრული სიმღერის პატრიარქს. ხალხურ

ჰანგებზე შექმნა სიმღერები: „მეგრული ურმული“, „მა დო ჩქიმი არაბა“, „მახა“ და სხვ. 2007 წ. ხობში დაარსდა ლ-ს სახელობის ქართ. ხალხური სიმღერის მუზეუმი. მრავალმხრივი მოღვაწეობით ლ-მ დიდად შეუწყო ხელი მუს. ფოლკლორის განვითარებას საქართველოში.

ლიტ.: ძუკუ ლოლუა, წგ.: ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, სამეგრელო, ტ. 1, თბ., 2007.

გ. ჩხიკვაძე

ნ. ნაკაშიძე